

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ პარტნიორს,

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და აქციონერის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი

ექვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 აპრილი, 2022 წ.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
4. ძირითადი საშუალებები	18
5. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	18
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
7. კაპიტალი	19
8. ნასესხები სახსრები	20
9. ფინანსური თავდებობის ვალდებულება	21
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21
11. შემოსავალი	21
12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	22
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
14. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	22
15. ფინანსური ინსტრუმენტები	22
16. პირობითი ვალდებულებები	26
17. დაკავშირებული მხარეები	27
18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი* გადაკლასიფიცირებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	56,374	63,578
სულ გრძელვადიანი აქტივები		56,374	63,578
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		6	4
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	5	1,044	1,504
წინასწარ გადახდილი გადასახადები		392	515
გადახდილი ავანსები		–	43
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	4,188	9,446
სულ მიმდინარე აქტივები		5,630	11,512
სულ აქტივები		62,004	75,090
კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელის საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	16,582	16,582
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		9,125	(2,646)
საკუროს სხვაობის რეზერვი	7	1,59	2,979
სულ საკუთარი კაპიტალი		27,300	16,915
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	8	30,319	45,878
ფინანსური თავდებობის ვალდებულება	9	3,079	8,866
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		33,398	54,744
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	8	309	1,736
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	997	1,695
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,306	3,431
სულ ვალდებულებები		34,704	58,175
სულ მფლობელის საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		62,004	75,090

* სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთი არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ის ასახავს მე-3 შენიშვნაში აღწერილ რეკლასიფიკაციებს.

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 15 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

_____ ზურაბ გორდეზიანი

ფინანსური მენეჯერი

_____ ნანა მშვიდლობაძე

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარში მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	11	17,460	18,550
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(6,778)	(6,855)
საერთო მოგება		10,682	11,695
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(775)	(887)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		9,907	10,808
ფინანსური შემოსავალი		5,622	1,029
ფინანსური ხარჯები	8	(3,944)	(3,781)
არარეგულარული შემოსულობა/(ხარჯი)		38	-
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი	8	-	(4,774)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	14	148	(1,245)
მოგება დაბეგვრამდე		11,771	2,037
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		11,771	2,037
სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი	7	(1,386)	2,979
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		10,385	5,016

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	საკუთარი სხვაობის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებულ ი ზარალი)	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი		21,509	–	4,410	25,919
წლის მოგება		–	–	2,037	2,037
სხვა სრული შემოსავალი		–	2,979	–	2,979
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		–	2,979	2,037	5,016
საწესდებო კაპიტალის შემცირება ფინანსური თავდებობის	7	(4,927)	–	–	(4,927)
ვალდებულებების აღიარება	9	–	–	(9,093)	(9,093)
2020 წლის 31 დეკემბერი		16,582	2,979	(2,646)	16,915
წლის მოგება		–	–	11,771	11,771
სხვა სრული შემოსავალი		–	(1,386)	–	(1,386)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		–	(1,386)	11,771	10,385
2021 წლის 31 დეკემბერი		16,582	1,593	9,125	27,300

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარში მოცემული)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ამონაგები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან		17,902	18,264
მომწოდებლებისთვის განხორციელებული გადახდები		(3,888)	(2,693)
თანამშრომლებზე განხორციელებული გადახდები		(136)	(107)
გადახდილი გადასახადები		(53)	(321)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		13,825	15,143
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხები		–	(1,800)
გაცემული სესხების დაფარვა		–	1,800
მიღებული პროცენტი		109	229
ბანკში არსებული შეზღუდული ფულადი სახსრების განაღდება	8	–	6,824
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		109	7,053
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან	8	–	49,162
ნასესხები სახსრების დაფარვა	8	(13,269)	(59,567)
გადახდილი პროცენტი	8	(5,349)	(3,487)
სესხის დაფარვაზე გადახდილი საკომისიო	8	–	(3,591)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	7	–	(4,927)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(18,618)	(22,410)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(574)	(112)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(5,258)	(326)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	9,446	9,772
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	4,188	9,446

5-28 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ (შემდგომში „კომპანია“) 2014 წელს დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, საქართველოს სახელმწიფო საწარმოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მთავარი საქმიანობაა ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოში. კომპანია ამუშავებს 21 მგვტ ჯამური სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურს გორთან ახლოს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჟღენტის ქ. #10.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების მფლობელია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ (შემდგომში „ჯი ჯი იუ“ ან „უშუალო მშობელი კომპანია“), რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგში შესული, დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „GCAP“ ან „საბოლოო მშობელი კომპანია“). 2019 წლის დეკემბერში შპს „საქართველოს ქარის კომპანია“ შეიძინა კომპანიის 100%-იანი წილი. 2020 წლის ივლისში შპს „საქართველოს ქარის კომპანია“ შეერწყა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ს. შედეგად „ჯი ჯი იუ“ კომპანიის 100%-იანი პარტნიორი და პირდაპირი მშობელი კომპანია გახდა.

2021 წლის 31 დეკემბერს „GCAP“-მა გამოაცხადა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის 80%-იანი წილის კომპანიაზე „FCC Aqualia“ (შემდგომში „Aqualia“) ორეტაპიანი გარიგებით მიყიდვის თაობაზე. გარიგების პირველი ეტაპი ითვალისწინებს უშუალო მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალში 65%-იანი წილის თავდაპირველ რეალიზაციას (რომელიც კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის ეკონომიკური წილის 80%-ს შეადგენს). გარიგების მეორე ეტაპი მოჰყვება უშუალო მშობელი კომპანიის მიერ გამოშვებული არსებული ევროობლიგაციების დაგეგმილ გამოსყიდვას 2022 წლის ივლისში. ობლიგაციების გამოსყიდვის შემდეგ განახლებადი ენერგიის ფუნქციონირებადი აქტივების დაშლა, კომპანიასთან ერთად გადაეცემა „GCAP“-ს. გარიგების პირველი ეტაპი 2022 წლის 3 თებერვალს დასრულდა (მე-18 შენიშვნა). მეორე ეტაპის დამთავრება მოსალოდნელია 2022 წლის სექტემბრის ბოლოსთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკები ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს იმისა, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, ამასთან სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19-ით გამოწვეულ შოკს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაზე 2020 წელს.

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქების ადრეულ ეტაპზე და დააწესა რიგი შეზღუდვებისა, რომლებიც უპრეცედენტო იყო მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. 2021 წლის თებერვლის შემდეგ ეკონომიკა სრულად აღდგა წლის უკეთესი პერიოდისთვის. კოვიდ-19-ის ახალი შემთხვევების მიუხედავად, რომლებიც პერიოდულად წარმოიშვებოდა, ახალი მნიშვნელოვანი შეზღუდვების დაწესება არ მომხდარა და ეკონომიკური აღდგენის ტემპმა აჩქარება დაიწყო.

კოვიდ-19-ის პანდემიას განსხვავებული შედეგი ჰქონდა სხვადასხვა ინდუსტრიებში მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, შედარებით ნაკლები იყო გავლენა განახლებადი ენერგიის სექტორზე.

ჯგუფი აკონტროლებს კოვიდ-19-ის გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა.

მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს სტანდარტების შესაბამისად საჭიროებს კონკრეტული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას სააღრიცხვო პოლიტიკების ყველაზე მართებულად გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელშიც გაკეთდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და მათი ეფექტი განხილულია მე-3 შენიშვნაში.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი წარმოადგენს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

(გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: „ვალდებულებების მოკლე ან გრძელვადიანად კლასიფიცირება“
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაცია“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში: „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 37-ში: „დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“
- ▶ ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“
- ▶ ფასს (IFRS) 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის
- ▶ ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში
- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება,
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიაზე.

(დ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

- ▶ საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარების ფუნდამენტური რეფორმა - მე-2 ეტაპი: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39, ფასს (IFRS) 7, ფასს (IFRS) 4 და ბასს (IAS) 16-ში
- ▶ „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ 2021 წლის 30 ივნისის მიღმა, ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი („აშშ დოლარი“), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოში აშშ დოლარში განისაზღვრება, შესაბამისად კომპანიის შემოსავალი აშშ დოლარში იქნება გამოხატული;
- ▶ პარტნიორებისგან კაპიტალში შენატანები აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ კომპანიის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარშია გამოხატული.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, წმინდა საკურსო ზარალის ნაწილში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 აშშ დოლარი იყო 3.0976 ლარი და 3.2766 ლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება ოპერაციების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის შენარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის შეცვლის თარიღისთვის. გადაანგარიშებისას წარმოდგარი საკურსო სხვაობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და განხორციელებულ უცხოურ ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მომზადების მიზნით ლარში.

კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი (შემდგომში „დოლარი“).

სამუშაო ვალუტის ცვლილება პროაქტიურად იქნა გამოყენებული 2019 წლის 30 დეკემბრიდან. ცვლილების თარიღში კომპანიამ ყველა მისი ერთეული ახალ სამუშაო ვალუტად დააკონვერტირა, ცვლილების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. შედეგად მიღებული კონვერტირებული თანხა არაფულადი ერთეულებისთვის მათ პირვანდელ ღირებულებად განისაზღვრა.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის კლიენტისთვის მიწოდების აღწერისთვის იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელიც ასახავს თანხას, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, ამ საქონლის სანაცვლოდ. კომპანია მომხმარებელთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე იყენებს ხუთ-ეტაპიან მოდელს:

- ▶ მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- ▶ ხელშეკრულების მიხედვით შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირება;
- ▶ გარიგების ფასის განსაზღვრა;
- ▶ გარიგების ფასის განაწილება ხელშეკრულების მიხედვით შესასრულებელ მოვალეობებზე;
- ▶ შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც, ან როგორც კი ის ასრულებს შესასრულებელ მოვალეობას, ე.ი. როდესაც კონკრეტული შესასრულებელი მოვალეობის საბაზისო საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვანი შემოსავლის წარმომქმნელი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ელექტროენერგიის გაყიდვა

კომპანია ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც გამოიმუშავებს საკუთარი ქარის ელექტროსადგურით. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის კლიენტზე გადაცემის მომენტში, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგები აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც ელექტროენერგიის შეთანხმებული ოდენობით მიწოდებისას ხდება.

ამონაგების შეფასება ხდება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა უნდა მოხდეს ელექტროენერგიის გადაცემიდან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ. კლიენტები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლოსთვის.

პრინციპალის და აგენტის საზღაური

კომპანია არის პრინციპალი (და შესაბამისად შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს), თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებებს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. კომპანია არის აგენტი (და, შესაბამისად, ის შემოსავლად აღრიცხავს წმინდა თანხას, რომელსაც ის შეინარჩუნებს სააგენტო მომსახურებებისთვის), თუ მისი როლია სხვა საწარმოს მიერ საქონლის და მომსახურებების მიწოდების ორგანიზება. კომპანიამ გააკეთა დასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ზემოთ აღწერილ საქონელთან და მომსახურებებთან მიმართებაში, რადგან ის აკონტროლებს კონკრეტულ საქონელს და მომსახურებებს მათი კლიენტისთვის გადაცემამდე. შესაბამისად, კომპანია შემოსავალს ბრუტო საფუძველზე აღრიცხავს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარდება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ დანახარჯებს და მოსალოდნელ მიმდინარე ღირებულებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება ანარიცხებში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შეთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შესულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ერთეულთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და ერთეულის ღირებულება სათანადო სიზუსტით შეიძლება შეფასდეს. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ყველა სხვა ხარჯი მოგებაში ან ზარალში აღირიცხება იმ ფინანსური პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მათი გაწევა ხდება.

დაუმთავრებელი აქტივები მოიცავს ძირითადი საშუალებების მშენებლობის თვითღირებულებას. აქტივების მშენებლობის თვითღირებულება მოიცავს: ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის საჭირო ადგილზე მიწოდებას და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობაში მოყვანას, ასევე ერთეულის დემონტაჟისა და მოხსნის, ასევე იმ ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯების თავდაპირველ შეფასებას, სადაც ერთეული იყო განთავსებული.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ან კონკრეტულ ერთეულებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ამგვარი ქონება მზად არის გამოყენებისთვის, ე.ი. მოხდება მისი მიწოდება დანიშნულების ადგილზე და გამოყენებისთვის მზად მდგომარეობაში. როგორც კი ქონება ექსპლოატაციაში შევა, დაიწყება შესაბამისი ცვეთის დარიცხვა ერთეულის მთლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე, თუ ერთეული არ განეკუთვნება გასაყიდად ფლობილი ერთეულის კატეგორიას, ფასს (IFRS) 5-ის („გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“) შესაბამისად, ან ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტისთანავე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. დაუმთავრებელ მშენებლობაზე და მიწის ნაკვეთზე ცვეთა არ ირიცხება. დაუმთავრებელი აქტივები ექსპლოატაციაში შედის და ცვეთის ხარჯის დარიცხვა იწყება აქტივის სამიზნე მდგომარეობაში მოყვანისთანავე.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ქვემოთ იხილეთ ცხრილი, რომელშიც მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები:

	სასარგებლო გამოყენების ვადები
ქარის ელექტროსადგური	20 წელზე
სხვა	5-20 წელი

ანგარიშგების ყოველ თარიღში კომპანია გადახედავს თავისი მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. როდესაც არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივების დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი სასწრაფო წესით აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი აღდგენითი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

გაუფასურების ზარალის შემობრუნება სასწრაფო წესით აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ანაბრებს, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, შეზღუდული წვდომის ფულადი ნაშთები გამოირიცხება ნაღდი ფულის ნაშთიდან ბანკში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია მის ფინანსურ აქტივებს ქვემოთ აღწერილ ერთერთ კატეგორიას მიაკუთვნებს, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რისთვისაც აქტივის შეძენა მოხდა. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის არის შემდეგი:

სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში

ეს კატეგორია მოიცავს ფულად და არაფულად წარმოებულ ინსტრუმენტებს, როდესაც დროის ღირებულება გაქვითავს ნეგატიურ ფაქტიურ ღირებულებას. ისინი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ფინანსურ შემოსავალში ან ხარჯების ხაზში აღიარებული ცვლილებების გათვალისწინებით. კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივს, რომელსაც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულება

ეს აქტივები ძირითადად საქონლისა და მომსახურებების კლიენტებისთვის შეთავაზებიდან მომდინარეობს (მაგ. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები), თუმცა ასევე მოიცავს ფინანსური აქტივების სხვა ტიპებსაც, რომელთა მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ამგვარი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს. ისინი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათ შეძენას ან გამოშვებას და ისინი შემდგომ აღირიცხებიან ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოკლე და გრძელვადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრებაში ანარიცხების მატრიცის გამოყენებით. ამ პროცესის განმავლობაში ფასდება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობა. ეს ალბათობა შემდეგ მრავლდება მოსალოდნელი ზარალის თანხაზე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევიდან, სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრად. იმის დადასტურებისას, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღება შეუძლებელი იქნება, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება დაკავშირებულ რეზერვზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

დროდადრო კომპანია არჩევს იმ მომხმარებლების მიმართ სავაჭრო დებიტორული დავალიანების შეთანხმებას, რომლებთანაც მას ადრე კარგი სავაჭრო გამოცდილება ჰქონდა. ამგვარი შეთანხმებები გამოიწვევს გადახდის ვადების ცვლილებას, და არა დავალიანების თანხების ცვლილებას და შედეგად ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და შედეგად მიღებული ნებისმიერი სხვაობა საბალანსო ღირებულებაში აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ცვლილებები წარდგენაში

2021 წელს კომპანიამ შეცვალა ავანსად გადახდილი გადასახადების წარდგენის წესი, რომელიც შესული იყო სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შედარებადი ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენის შესაბამისად, რამაც გამოიწვია სავაჭრო დებიტორული დავალიანების 515 ლარით კლება.

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივების ეს ტიპები მოიცავს სტრატეგიულ ინვესტიციებს საწარმოებში, რომლებშიც შესულია და არ არის შესული ლისტინგში, რომლებიც არ არიან აღრიცხული შვილობილ კომპანიებად, მეკავშირე საწარმოებად ან საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებად. ამგვარი ინვესტიციებისთვის კომპანიამ გააკეთა შეუქცევადი არჩევანი მოეხდინა ინვესტირების სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგებაში ან ზარალში კლასიფიცირება, რადგან კომპანია ამ შეფასებას ყველაზე წარმომადგენლობითად მიიჩნევს ამ აქტივების ბიზნეს-მოდელისთვის. ისინი სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ რეზერვში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ნებისმიერი ნაშთი პირდაპირ რეკლასიფიცირდება გაუნაწილებელ მოგებად და მისი რეკლასიფიცირება არ ხდება მოგებაში ან ზარალში.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს ქვემოთ აღწერილი ორი კატეგორიიდან ერთერთს მიაკუთვნებს, იმ მიზეზიდან გამომდინარე, რისთვისაც ვალდებულების შემენა მოხდა. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის არის შემდეგი:

სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში

ეს კატეგორია მოიცავს არაფულად წარმოებულ ინსტრუმენტებს, როდესაც დროის ღირებულება არ გაქვითავს ნეგატიურ ფაქტიურ ღირებულებას. ისინი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული სამართლიანი ღირებულების ცვლილებით. კომპანიას არ აქვს სავაჭროდ ფლობილი რაიმე ვალდებულება, ასევე არ აქვს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ ერთეულებს: ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი გარიგების ხარჯის გამოკლებით, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ინსტრუმენტის გამოშვებას. ამგვარი პროცენტიანი ვალდებულება შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით¹ რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი დაფარვის პერიოდზე უცვლელი განაკვეთით შენარჩუნდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ვალდებულების ნებისმიერ ნაშთზე. თითოეული ფინანსური ვალდებულების მიზნებისთვის, საპროცენტო ხარჯი მოიცავს თავდაპირველი გარიგების ხარჯებს და გამოსყიდვისას გადასახდელ ნებისმიერ ანაზღაურებას, ასევე ნებისმიერ პროცენტს ან კუპონს, რომელიც გადაიხდება იმ პერიოდში, როდესაც ვალდებულება დაუფარავია.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და სხვა მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებები, რომლებიც თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით განისაზღვრება და შემდგომ ფასდება (i) ზარალის რეზერვის თანხასა და (ii) შესაბამის შემთხვევაში ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) საფუძველზე აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) ხდება აქტივების გამოსყიდვა, ან სხვაგვარად იწურება აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება ან (ბ) კომპანია გადასცემს უფლებას ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე ან გააფორმებს კვალიფიციურ გამავალ გარიგებას და ამავდროულად (i) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და საკუთრების უფლებას აქტივებზე ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს არსებითად ყველა რისკს და საკუთრების უფლებას, და არც ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტს არ ექნება პრაქტიკული უნარი აქტივი მთლიანად მიჰყიდოს არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების საჭიროების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ვალდებულება წარმოიშვება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ადგილი ექნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის კლებას, რაც უკავშირდება აქტივის სათანადო სიზუსტით შეფასებად კლებას ან ვალდებულების ზრდას.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ ან აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (საწესდებო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ცვლილებები) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ შემთხვევაში, თუ ის კომპანიის პარტნიორებმა შეიტანეს. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში და განმარტებით შენიშვნებში

კომპანიამ შეცვალა მისი სააღრიცხვო პოლიტიკა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენაში. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლიური პერიოდიდან დაწყებული, კომპანია საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს აღრიცხავს პირდაპირი მეთოდის გამოყენებით, წინა პერიოდებში გამოყენებული არაპირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით. პირდაპირი მეთოდის ფარგლებში კომპანია ასახავს მიღებული ფულადი სახსრების მთლიანი თანხების და საოპერაციო საქმიანობებიდან წარმოშობილი მთლიანი ფულადი გადახდების ძირითად კატეგორიებს. ამასთან კომპანია გადახდილ პროცენტს, რომელსაც ადრე აღრიცხავდა საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ ფულად ნაკადებში, აღრიცხავს ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში, ხოლო მიღებულ პროცენტს, რომელსაც ადრე უჩვენებდა საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ ფულად ნაკადებში, აღრიცხავს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ნაკადებში. გადახდილი პროცენტის ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში ჩვენებას და მიღებული პროცენტის საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში აღრიცხვას კომპანია მიიჩნევს მეტად შესაბამისად და სანდო ინფორმაციად ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, რადგან ის შესაძლოა მეტად სასარგებლო იყოს კომპანიის მიერ სასესხო მომსახურებისა და კაპიტალური დანახარჯებისთვის ხელმისაწვდომი საოპერაციო ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარის შესაფასებლად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს მომავალთან დაკავშირებულ კონკრეტულ შეფასებებს და დაშვებებს. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება განვლილი გამოცდილების და სხვა ფაქტორების, მათ შორის სამომავლო მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულ ვითარებაში გონივრულად არის მიჩნეული. მომავალში, ფაქტიური გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ აღწერილია შეფასებები და დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითად საშუალებებზე ცვეთა ირიცხება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. სასარგებლო გამოყენების ვადა ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ იმ პერიოდის შეფასებას, რომლის დროსაც აქტივებიდან მოხდება შემოსავლის გამომუშავება, რაც პერიოდულად გადაიხედება მუდმივი შესაბამისობის დასადგენად. შეფასებებში ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კონკრეტული პერიოდების საბალანსო ღირებულებაში დარიცხულ თანხებში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

უშუალო მშობელ კომპანიაზე გაცემული ფინანსური გარანტიების აღიარება და შეფასება

2020 წლის ივლისში კომპანია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კონკრეტულ საწარმოებთან ერთად, სოლიდარულად გახდა თავდები უშუალო მშობელი კომპანიის მიერ გამოშვებული 250 მილიონ აშშ დოლარის ღირებულების 7,75%-იან ევროობლიგაციებთან მიმართებაში, რომელთა დაფარვის ვადაა 2025 წელი (შემდგომში „ობლიგაციები“). ობლიგაციების გამოშვების შემდეგ კომპანიამ დააფინანსე ყველა მისი გარე ნასესხები სახსრები უშუალო მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მშობელი კომპანიის მიმართ მართებული ნასესხები სახსრების თანხამ 30,672 ლარი შეადგინა (მე-8 შენიშვნა).

ფასს (IFRS) 9-ის თანახმად, კომპანიამ აღიარა ფინანსური ვალდებულება ფასიან ქაღალდებთან მიმართებით უშუალო მშობელ კომპანიაზე გაცემულ ფინანსურ თავდებობასთან დაკავშირებით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,039 ლარის ოდენობით საგარანტიო ვალდებულების სამართლიანი ღირებულება აისახა საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, რადგან კომპანიამ უშუალო მშობელი კომპანიის მიმართ უფასო ფინანსური გარანტია მიიჩნია პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედ პარტნიორთან განხორციელებულ ოპერაციად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური თავდებობის ვალდებულება შეფასდა 3,079 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის თანხასა და ადრე აღიარებულ თანხას შორის უმცირესს, რასაც აკლდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხა, პერიოდის განმავლობაში (მე-9 შენიშვნა).

2020 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური საგარანტიო ვალდებულების შეფასებისას, კომპანიამ გარანტიის პოტენციურად გამოთხოვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი გადახდის თანხა (დეფოლტირებისას) 38,118 ლარით და 36,036 ლარით შეაფასა, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 804,406 ლარის ოდენობით გარანტიის მთლიანი პირობითი თანხიდან უშუალო მშობელი კომპანიის მიმართ მართებული ნასესხები თანხების გამოკლებით, რომელიც შეადგენდა 30,628 ლარს და უკვე აღიარებული იყო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020 წლის 31 დეკემბრის: 47,614 ლარი), ასევე თანხა, რომლის დაფარვაც მოსალოდნელი იყო სხვა თავდებების მიერ. 2020 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეფოლტის ქვეშ მყოფი დავალიანების განსაზღვრაში გამოყენებული იყო მნიშვნელოვანი მსჯელობა.

„ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ის „Aqualia“-სთვის მიყიდვის (1-ლი შენიშვნა) გარიგების წარმატებით დასრულების ერთერთი პირობის სახით, უშუალო მშობელი კომპანია ვალდებული იყო გამოესყიდა ფასიანი ქაღალდები 2022 წლის 30 ივლისს ან მის შემდეგ „საქართველოს კაპიტალს“ და „Aqualia“-ს შორის გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. უშუალო მშობელი გეგმავს ქოლ-ოფციონით სარგებლობას და ანგარიშსწორების ვადაზე ადრე განხორციელებას 2022 წლის 30 ივლისს გამოსყიდვის ფასად, რომელიც ევროობლიგაციების პირობებში იყო მითითებული. ევროობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვის გამო, ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) შესაბამისად ფინანსური საგარანტიო ვალდებულების არა ამორტიზებულ წილთან მიმართებით, კომპანიამ აღიარა შემოსავლის კორექტირება მოსალოდნელი გამოსყიდვის თარიღად 2022 წლის 30 ივლისის ვარაუდის გზით, 2025 წლის 30 ივლისის ნაცვლად, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა. შეფასებაში ამ ცვლილების შედეგად კომპანიამ 2021 წელს აღიარა 5.513 ლარის ოდენობით მოგება ან ზარალი, რომელიც ფინანსურ შემოსავალშია შესული.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

უშუალო მშობელ კომპანიაზე გაცემული ფინანსური გარანტიების აღიარება და შეფასება (გაგრძელება)

ამასთან, ჩვენი შეფასებების შემუშავებაში გამოყენებულია მნიშვნელოვანი მსჯელობა არაემპირიული შემავალი ინფორმაციის შესახებ, რომელიც გამოიყენება თავდებობის შეფასებაში თავდაპირველი აღიარებისას და ანგარიშგების თარიღში, მათ შორის საკრედიტო რეიტინგის სხვაობა უშუალო მშობელ კომპანიასა და კომპანიას შორის და უკავშირდება დეფოლტის ალბათობას, უშუალო მშობელი კომპანიისა და კომპანიის დეფოლტის ალბათობას და სავარაუდო დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლოა შემდეგი სახით იყოს ნაჩვენები:

	მიწა	ქარის ელექტროსადგურ ი	სხვა	სულ
პირვანდელი ღირებულება				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	80	68,381	1,239	69,700
საკუროს სხვაობები	11	9,728	177	9,916
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	91	78,109	1,416	79,616
შესყიდვები	5	–	27	32
საკუროს სხვაობები	(5)	(4,259)	(77)	(4,341)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	91	73,850	1,366	75,307
დაგროვილი ცვეთა				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	–	(10,405)	(124)	(10,529)
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	(3,801)	(21)	(3,822)
საკუროს სხვაობები	–	(1,669)	(18)	(1,687)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	–	(15,875)	(163)	(16,038)
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	(3,904)	(15)	(3,919)
საკუროს სხვაობები	–	1,015	9	1,024
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	–	(18,764)	(169)	(18,933)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	80	57,976	1,115	59,171
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	91	62,234	1,253	63,578
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	91	55,086	1,197	56,374

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია დაგირავებული ძირითადი საშუალებები ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით.

5. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება 1,044 ლარს უდრის (2020 წლის 31 დეკემბერს: 1,504 ლარი). საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებას იყო მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება მოკლევადიანია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაა რეგულირებული 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში - ლარი	1,480	1,664
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში - აშშ დოლარი	2,708	7,782
სულ	4,188	9,446

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფული ბანკში მოიცავს საქართველოს კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 109 ლარის ოდენობით 2021 წელს (2020 წ. 229 ლარი).

7. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი, რომელიც 16.582 ლარს შეადგენდა სრულად გადახდილია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ მისი საწესდებო კაპიტალი 4,927 ლარით შეამცირა მშობელი კომპანიისთვის გადახდილი ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

საკუროსო სხვაობის რეზერვი

საკუროსო სხვაობის რეზერვი მოიცავს უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვს. წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი სრულად უკავშირდება მოძრაობას საკუროსო სხვაობის რეზერვში.

კაპიტალის მართვა

თავისუფალი კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისე, რომ მან შესძლოს პარტნიორებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის კომპანია კაპიტალს ისევე განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოადგენს.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ნასესხები სახსრები

	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
უშუალო მშობელი კომპანიისგან აღებული სესხები	309	30,319	1,736	45,878
სულ ნასესხები სახსრები	309	30,319	1,736	45,878

2020 წლის 31 ივლისს კომპანიამ უშუალო მშობელი კომპანიისგან მიიღო სესხი 49,162 ლარი. თანხები გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხის დასაფარად.

2020 წლის 19 აგვისტოს, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხის დაფარვის შემდეგ, შეზღუდული ფულადი სახსრები 6,824 ლარის ოდენობით, რომელიც განთავსებული იყო „Citi Bank“-ით ანგარიშზე წარმოადგენდა სასესხო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მინიმალურ ფულად რეზერვს.

ფინანსური გარიგებებიდან მიღებული ვალდებულებების შეჯერება:

	უშუალო მშობელი კომპანიისგან მიღებული სესხები	საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები ს-გან მიღებული სესხები	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	50,309	50,309
დარიცხული პროცენტი	1,725	2,056	3,781
სესხის აღება	49,162	–	49,162
ძირითადი თანხის დაფარვა	(6,178)	(53,389)	(59,567)
გადახდილი პროცენტი	–	(3,487)	(3,487)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	2,905	3,328	6,233
სესხის დაფარვიდან გადახდილი საკომისიო	–	(3,591)	(3,591)
ფინანსური ვალდებულებების დაფარვით გამოწვეული ზარალი	–	4,774	4,774
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47,614	–	47,614
დარიცხული პროცენტი	3,944	–	3,944
ძირითადი თანხის დაფარვა	(13,269)	–	(13,269)
გადახდილი პროცენტი	(5,349)	–	(5,349)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(2,312)	–	(2,312)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,628	–	30,628

კომპანიის მიერ უშუალო მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრები აშშ დოლარშია გამოხატული, მათზე ირიცხება ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი 10%-ის ოდენობით და დაფარვის ვადაა 2025 წლის აგვისტო.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ფინანსური თავდებობის ვალდებულება

უშუალო მშობელი კომპანიის 250 მილიონი აშშ დოლარის ობლიგაციები (შემდგომში „ობლიგაციები“) გამოშვებული და გაყიდულია ნომინალური ღირებულებით 2020 წელს. ობლიგაციები შესულია ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალური საფონდო ბაზრის ლისტინგში და მათ „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ 'B+' (სტაბილური) რეიტინგი, ხოლო „S&P“-ის მიერ - 'B' (დადებითი).

ობლიგაციები უპირობოდ და გამოუხმობად გარანტირებულია კომპანიის მიერ, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა საწარმოებთან ერთად. 2020 წელს თავდაპირველი აღიარებისას საგარანტიო ვალდებულების შესაბამისი სამართლიანი ღირებულება 9,093 ლარის ოდენობით პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აღიარდა, რადგან გარიგება უშუალო მშობელ კომპანიასთან მიმდინარეობდა და ის ამორტიზებულ იქნა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, ობლიგაციების მოსალოდნელ ვადაზე, მათ შორის დაფარვის ვადების გათვალისწინებით. 2021 წელს კომპანიამ 5,513 ლარი ფინანსურ შემოსავლად აღიარა, მათ შორის 3,610 ლარის ოდენობით შესაბამისობის კორექტირებების ჩათვლით, რომლებიც უშუალო მშობელი კომპანიის მიერ 2022 წლის 30 ივლისს ობლიგაციების მოსალოდნელ ვადამდე დაფარვას უკავშირდებოდა (მე-3 შენიშვნა).

ამასთან, კომპანიამ 274 ლარი აღიარა საკურსო ზარალად (2020 წ.: 800 ლარი და 573 ლარი, შესაბამისად).

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	904	1,624
სხვა კრედიტორული დავალიანება	93	71
სულ ფინანსური ვალდებულებები	997	1,695

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 60-დღიან ვადაში იფარება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

11. შემოსავალი

კომპანიას აქვს ერთი მთავარი ხელშეკრულება ელექტროენერგიის სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორზე“ („ესკო“) რეალიზაციაზე.

2016 წლის 10 მაისს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება „ესკო“-სთან ცამეტი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ევალება ელექტროენერგიის მიწოდება „ესკო“-თვის ზამთრის თვეებში - სექტემბრიდან აპრილამდე გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად. კომპანიას უფლება აქვს გაყიდოს, ხოლო „ესკო“ ვალდებულია, იყიდოს კომპანიისგან ელექტროენერგია გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად.

შემოსავალმა ელექტროენერგიის რეალიზაციიდან 17,460 ლარი და 18,550 ლარი შეადგინა 2021 წელს და 2020 წელს, შესაბამისად.

კომპანია არ ყიდის ელექტროენერგიას ღია ბაზარზე. ყველა შემოსავალის გამომუშავება ხდებოდა „ესკოსთან“ განხორციელებული გაყიდვებიდან.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ელექტროენერგიის რეალიზაციასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ნაშთები (სავაჭრო დებიტორული დავალიანებები) 1,044 ლარს შეადგენდა (2020 წლის 31 დეკემბრის: 1,504 ლარი) (მე-5 შენიშვნა).

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
ცვეთის ხარჯი	(3,904)	(3,801)
ტექნიკური მომსახურება	(2,470)	(2,798)
სადაზღვევო ხარჯი	(142)	(103)
სახელფასო ხარჯი	(144)	(76)
დაცვის ხარჯები	(66)	(66)
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები	(45)	–
სხვა	(7)	(11)
სულ	(6,778)	(6,855)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(633)	(627)
პროფესიული მომსახურება	(84)	(98)
სახელფასო ხარჯი	–	(56)
სადაზღვევო ხარჯები	(23)	(6)
ცვეთის ხარჯი	(15)	(21)
საიჯარო ხარჯი	(7)	(9)
სხვა	(13)	(70)
სულ	(775)	(887)

14. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი

	2021	2020
ფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(7)	(1,077)
ფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	155	(168)
სულ	148	(1,245)

15. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხდება შეფასების მეთოდით, რომლის დროსაც გამოიყენება აქტიური ბაზრის ფასები და მონაცემები.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულება შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, იყო შემდეგი:

		2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მე-5 შენიშვნა)	დონე 3	1,044	1,044	1,504	1,504
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (6-ე შენიშვნა)	დონე 1	4,188	4,188	9,446	9,446
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-8 შენიშვნა)	დონე 2	30,628	33,883	47,614	51,054
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (10-ე შენიშვნა)	დონე 3	997	997	1,695	1,695
ფინანსური თავდებობის ვალდებულება (მე-9 შენიშვნა)	დონე 3	3,097	3,079	8,866	8,866

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას იყო მიახლოებული, რაც ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადით იყო გამოწვეული.
- ▶ ფინანსური თავდებობის ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება არაემპირიული შემაჯავლი ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო რეიტინგის, უშუალო მშობელ კომპანიასა და კომპანიას შორის საკრედიტო რეიტინგის სხვაობის, ასევე დეფოლტის დაკავშირებულ ალბათობის, უშუალო მშობელი კომპანიისა და კომპანიის დეფოლტის ალბათობებს შორის დამოკიდებულებისა და დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო დანაკარგების საფუძველზე.
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი მომხმარებლები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფული ბანკში: 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში 4,188 ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბრის: სულ ნაღდი ფული ბანკში 9,446 ლარის ოდენობით) განთავსებული იყო ბანკებში, რომლებსაც „Standard & Poor’s“-ის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ ‘BB-/bb-’ რეიტინგი, „Moody’s“-სგან ‘B1/NP’ (FC) და ‘Ba2/NP’, ხოლო Fitch“-ს სარეიტინგო სააგენტოსგან - ‘BB-/bb-’.
- ▶ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მე-5 შენიშვნა).

ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი მუდმივად კონტროლდება, საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში ხელმძღვანელობა კრედიტის ხარისხს აკონტროლებს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3-5 წელი	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები				
სახსრები	1,993	6,087	33,444	41,524
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	997	–	–	997
ფინანსური თავდებობის ვალდებულება	804,406	–	–	804,406
სულ მომავალი გადახდები	807,406	6,087	33,444	846,927
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები				
სახსრები	4,361	13,774	50,535	68,670
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,695	–	–	1,695
ფინანსური თავდებობის ვალდებულება	819,150	–	–	819,150
სულ მომავალი გადახდები	825,206	13,774	50,535	889,515

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური თავდებობის ვალდებულება უკავშირდება უფრო ადრინდელ პერიოდს და ის წარდგენილია თამასუქების სრული თანხით, რომლების გარანტიასაც ახდენს კომპანია, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა საწარმოებთან ერთად. კომპანია არ მოელის, რომ გაცემულ თავდებობასთან დაკავშირებით ადგილი ექნება ფულადი სახსრების გადინებას (მე-9 შენიშვნა).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაში ნეგატიურად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან სესხის დაფარვის შემდეგ, კომპანია არ ექვემდებარება ფულადი ნაკადების საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან კომპანიამ თანხები ისესხა უშუალო მშობელი კომპანიისგან ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით (მე-8 შენიშვნა).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვალუტის ღია პოზიციებს თითოეულ არსებით ვალუტაში და, საჭიროებიდან გამომდინარე, შედის უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტების გარიგებებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკი წარმოიშვება ლარში გამოხატული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან და ევროში გამოხატული სავაჭრო კრედიტორული დავალიანებებიდან. გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ქვედა ცხრილში:

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2021	გავლენა მოგებაზე 2021
ლ	6%	89
ლ	-14%	(207)
ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2021	გავლენა მოგებაზე 2021
ევრო	9%	(81)
ევრო	-9%	81

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გონივრულობის ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2020	გავლენა მოგებაზე 2020
ლ	15%	1,167
ლ	-7%	(545)
ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2020	გავლენა მოგებაზე 2020
ევრო	9%	(146)
ევრო	-10%	162

16. პირობითი ვალდებულებები

კომპანიასა და სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება

2016 წლის 10 მაისს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება „ესკო“-სთან ცამეტი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ევალება ელექტროენერგიის მიწოდება „ესკო“-თვის ზამთრის თვეებში - სექტემბრიდან აპრილამდე გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად.

გაცემული ფინანსური თავდებობები

თავდებობა გამოუთხოვადი რწმუნებულებაა იმისა, რომ კომპანია განახორციელებს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ დააკმაყოფილებს ვალდებულებებს.

საერთო კონტროლს დაკავშირებულ სხვა საწარმოებთან ერთად, კომპანიამ გასცა თავდებობა მშობელ კომპანიაზე, ირლანდიის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდებისთვის. უშუალო მშობელი კომპანიის და თამასუქების საკრედიტო რეიტინგი „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით არის 'B+' (სტაბილური), ხოლო „S&P“-ის მიხედვით - 'B' (დადებითი).

კომპანიამ აღიარა შესაბამისი ფინანსური თავდებობის გარანტია 2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-9 შენიშვნა).

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. დაკავშირებული მხარეები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და წლის დაკავშირებული ხარჯები იზღუდება ნასესხები სახსრებით უშუალო მშობელი კომპანიისგან და დაკავშირებული ხარჯებით (მე-8 შენიშვნა) და უშუალო მშობელი კომპანიისთვის გაცემული ფინანსური გარანტიებით (მე-9 შენიშვნა).

დირექტორების ანაზღაურება

2021 და 2020 წლებში კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი მოიცავს დირექტორთა საბჭოს წევრებს. ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მართვის პოზიციების მომსახურების ანაზღაურებას, შედგება ხელფასებისგან, შესრულების პრემიებისგან, რომელიც დამოკიდებულია კომპანიის სხვა ანაზღაურების მაჩვენებლებზე, ცხოვრების, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების ფორმით. ხელმძღვანელობის ზედა რგოლისთვის დარიცხულმა მთლიანმა ანაზღაურებამ 2021 წელს შეადგინა 57 ლარი (2020 წ.: ნული):

	2021	2020
ხელფასები	38	–
პრემიები	19	–
სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება	57	–

18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 3 თებერვალს, „GCAP“-ის მიერ გაყიდვიდან ამონაგები თანხის მიღებით და „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ის შესაბამისი აქციების „Aqualia“-სთვის გადაცემით, წარმატებით დასრულდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვის გარიგების პირველი ეტაპი. შესაბამისად, „Aqualia“ გახდა კომპანიის ახალი მაკონტროლებელი პარტნიორი.

18. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ომი უკრაინაში

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტინგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.